# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 129 შაბათი, 13 ივნისი 1909 წ. № 129

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., საჩქაროდ განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო ხზვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

მწუხარებით გარდაცვალებულის

## ლეონიდ კიზირიასი

აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაში კვირას, 14 ივნის, დილის 10 საათზე. (1—294—1)

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 14 ივნისს, 1909 წ. **საღამოს 8½ საათზე,** სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება

**პირველად ახალი პიესა:**

## „ქორწიანი ტოროლა"

პიესა 4 მოქმ. ვილდენბრუხისა, თარგ. ს. ტ—სა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.**

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, 13 ივნისს.

ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებითა** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად **სხვის ადგილებზე** ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულებით აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი კ. **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

## სახაზინო თეატრი

შაბათს, 13 ივნისს

ავადმყოფ მსახ. ს. სვიმონიძის სასარგებლოდ

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## სად მიხვალ?

დრამა 5 მოქმედებათ სოზოლშჩიკოვ-სამარინისა, თარგმანი აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობას იღებს მთელი ამხანაგობა.

**ადგილების ფასი დაკლებულია.** **დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ ს.** (5—5)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი** ვ. **ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს სა დამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორდანოვის ქუჩა, ხაკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ს. 86)

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა** აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ მან უკვე დაიწყო მოქმედება და სთხოვს ქართველ ხალხში განათლების გავრცელების თანამგრძნობელთ ჩაეწერნენ განყოფილების წევრებად ან გაუწიონ მას ნივთიერი დახმარება და ამით მისცენ საშუალება პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება.

საწევრო ფული და შემოწირულება მიიღება ქუთაისში: ქართულ გიმნაზიაში—იოსებ ოცხელთან, ქალაქის გამგეობაში—იაკობ ფანცხავასთან, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში—გიორგი ზდანოვიჩთან და განყოფილების ხაზინადართან—ბართლომე მოსეშვილთან. (10—6.—4)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**ს ა ლ ა მ ო თ ი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—83)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ი. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს, პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—168)

**ექიმი** **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** **ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

## ქუთაისში

1 ივლისიდან გამოვა ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი:

## „ვარსკვლავი"

გაზეთის ფასი იანვრამდე—3 მან., ერთი თვით 50 კაპ., ცალკე ნომერი 5 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა და განცხადებები თვით რედაქციაში, ყვირილა—მოღრაპანში—პორფილე მელაძესთან; ხადგურ მუხიანში—უფასო სამკითხველოში. საპორტო დაბა-ქალაქებში საიმედო აგენტები. რედაქციის ადრესი: Кутаисъ, редакція „ВАРСКВЛАВИ", Балахванская ул. N 5, во дворѣ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესზე: Кутаисъ, редакція „Варсквлави" Виссаріону Сопромовичу Чибурданидзе. (5—ფ.—2)

## ვყიდი

ავადმყოფობის გამო ჩემს

## ღვინის სარდაფს

საუკეთესოდ გაწყობილს, ავჭალისა და რეუტოვის ქუჩების კუთხეში, № 20. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ იქვე. იროდიონ ოქროაშვილი. (2—293—2)

14 ივნისიდან გამოდის იუმორისტულ-კარიკატურებიანი ჟურნალი

## მათრახი და სალამური

ჟურნალი სისტემატიურად ყოველ კვირაობით გამოვა.

ჟურნალის ფასი მთელი წლით 5 მ. ნახევარი, წლით—2 მ. 50 კ., ერთი თვით—50 კ., ცალკე ნომერი—10 კ.

მიიღება ხელის მოწერა. ვინც წლის ბოლომდე გამოიწერს და ამ თავითვე გამოგზავნის 2 მ. 50 კ., პრემიად გაეგზავნება ალმანახ „სალამურის" გამოსული შვიდი ნომერი.

ფული და კორესპონდენციები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, типографія „Шрома", русс. ул. N 3. Θеофилу Ерастовичу Болквадзе.

გაიყიდება შაბათ საღამოს 13 ივნისს „შრომი"-ს სტამბაში. (3—ნ.—3)

## იყიდება

იაფად **საავარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოლოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—ნ.—4)

საზოგადოება

## „განათლება"

ამით აუწყებს, რომ კვირას, 14 ივნისს, დილის 11 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება საზოგადოების წლიური კრება.

**განსახილველი საგნებია:**

1. გამგეობის მოქმედების მოხსენება.
2. ზედამხედველის მოხსენება.
3. სავარაუდო ხარჯი..
4. არჩევნები საპატიო და გამგეობის წევრებისა. (4—3)

სახალხო

სახლი ზუბალაშვილებისა

კვირას, 14 ივნისს **ნ. შესტოვი** წაიკითხავს რუსულად ლექციას ამ თემაზე:

## სანინი

(არციბაშევისა).

1. კრიტიკის გავლენა რომანის გავრცელებაზე; 2. კრიტიკოსი-მორალისტი, კრიტიკოსი-მხატვარი; 3. თანამედროვე მორალი; 4. რომანის „სანინის" შინაარსი; 5. სანინის დახასიათება; 6. იდეია ბუნებრივ „ტიტველა" კაცისა; 7. სანინი homo sapiens პშიბიშევსკისა; 8. არციბაშევის სანინი და ტურგენევის სანინი; 9. ეროტომანიული ლიტერატურა და სქესობრივი პრობლემა; 10. ღირებულება „ახალ" კაცის იდეისა.

დასაწყ. დილ. 11 ს. შესასვ. ფასი 10 კ.-დან 50 კ.-მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში 12—2 ს. და 6—8 ს. (1—296—1)


## ტფილისი, 13 ივნისი

სოციალური კანონმდებლობა მეორე სესსიისა, რომელზედაც წარსულ წერილში გვქონდა ლაპარაკი, ყოველ შემთხვევაში მთავარი საქმე იყო სათათბიროს მოღვაწეობაში, მიუხედავად იმისა, რომ მას უარყოფითი მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე დადებითი. პოლიტიკურ სფეროში მეორე სესსიას არაფერი არ დაუტოვებია თვალსაჩინო, არც ერთი კანონ-პროექტი, რომელსაც პრინციპიალური მნიშვნელობა ჰქონდეს. მთელის წლის განმავლობაში სათათბირო იხილავდა წვრილ კანონებს, რომელთაც მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ ზოგიერთ ადგილებისთვის ან ზოგიერთ ჯგუფებისთვის. სათათბიროს უმრავლესობა ბრმად ემორჩილებოდა სტოლიპინის მთავრობას და მუშაობდა მხოლოდ მის ნებართვით, მის თანხმობით. რა-კი მთავრობას ჯერ არა სურს მთავარ კანონ-პროექტების წამოყენება, რომელთაც კავშირი ჰქონდეთ 17 ოქტომბრის მანიფესტან, ამიტომ სათათბიროს ხელმძღვანელი უმრავლესობაც გაჩუმებულია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სათათბიროს ზოგი რამ მზადაც აქვს ამ სფერაში, მაგალითად—კანონ-პროექტები პიროვნების ხელუხლებლობის შესახებ, განსაკუთრებულ წესების შესახებ, მაგრამ ამათი გამომზეურებაც ვერ გაუბედნია, რადგან მთავრობა საჭიროდ არა სთვლის ჯერ სამმართველო კურსისა და შინაურ პოლიტიკის შეცვლას. იყო ერთი მხარე სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმისა, რომლის გამო მესამე სათათბირო უფრო მეტ გამბედაობას იჩენდა წასულ წელს. ჩვენ სახეში გვაქვს სახელმწიფოს დაცვის საქმე. შარშანდელ სესსიის დროს ხელმძღვანელ ცენტრის თაოსნობით განსაკუთრებული კომიტეტიც დაარსდა ამ საქმისათვის და ბევრი მხურვალე სიტყვებიც წარმოითქვა. გასულ სესსიაშიაც გაჰბედა სათათბირომ და საზღვაო შტაბის შტატები არ დაამტკიცა, რადგან ეს უწყება დაპირებულ რეფორმებს არ ახდენსო; მაგრამ „სფერებში" ეს არ მოეწონეს და სათათბირომაც ხმა გაჰკმინდა. ეხლა განსაკუთრებული მთავრობის კომისია მუშაობს იმის გამოსარკვევად, თუ რა უფლება აქვს სათათბიროს სამხედრო საქმის სფერაში. უეჭველია, რეაქციონერთა სურვილის თანახმად, ეს უფლებაც შეზღუდული იქნება კიდევ უფრო, და ხელმძღვანელ ცენტრს არავითარი ძალა აქვს—დაიცვას პარლამენტის პრეროგატივა, დაიცვას ის საქმე, რომელსაც თავის მთავარ საქმედ აღიარებდა შარშან დიდის რიხითა და ზეიმით, ე. ი., საქმე რუსეთის სამხედრო ძალების განახლებისა...

ერთად-ერთი პლიუსი გასულ სესსიისა, მაშასადამე, არის სარწმუნოებრივი კანონ-პროექტები, რომელიც სათათბირომ დაამტკიცა სესსიის უკანასკნელ დღეებში. მთელი სესსიის მუშაობა იმდენად უნაყოფო და უფერული იყო, რომ თვით ოქტომბრისტებსაც შერცხვათ და შეეშინდათ მთელის ქვეყნის დაცინვისა. ზოგი მათი ლიდერი არც კი ჰფარავდა, რომ სარწმუნოებრივ კანონების წამოყენება ამ შიშითა და სირცხვილით უფრო აიხსნება, ვიდრე მხურვალე რწმენით, რომ რუსეთს ეჭირვება სინიდისის თავისუფლების განხორციელება. გარდა ამისა, ოქტომბრისტებს პირდაპირი დაპირებაც ჰქონდათ მიცემული სტაროობრიადცებისათვის და ის გარემოება, რომ 15 მილ. სტაროობრიადცების დაკარგვა დიდ ზიანს მიაყენებდა პარტიას, საკმაო სტიმული გახდა ოქტომბრისტების წათამამებისათვის... ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში სარწმუნოებრივი კანონები ერთად-ერთი საქმეა, რომელიც აქტივში ჩაეთვლება მესამე სათათბიროს ხელმძღვანელ ფრაქციას მთელის ორის წლის განმავლობაში. ამ კანონების წინ წამოყენებითა და მიღებით, 17 ოქტომბრის კავშირი პირველად დაუპირდაპირდა მთავრობას პრინციპიალურ ნიადაგზე, პირველად ჩამოშორდა სერიოზულად მემარჯვენეთ და დაიხმარია ოპპოზიცია. ამ გზით რომ განაგრძოს სიარული ხელმძღვანელმა ფრაქციამ, უეჭველია, მესამე სათათბიროს მნიშვნელობა-როლიც გამოიცვლება და მაშინ მთავარი პოლიტიკური საკითხებიც იქნება წინ წამოყენებული; მაგრამ, თითქმის თამამად შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ მომავალ სესსიის დაწყებისათანავე ცენტრი შედრკება და შეეცდება ისევ დაიბრუნოს როგორც ზომიერ მემარჯვენეთა, ისე მთავრობის კეთილგანწყობილება. ამის სიმპტომები ეხლაც არის..

დაგვრჩა კიდევ ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმაზე, თუ რა შესძინა გავლილმა სესსიამ განაპირა ქვეყნებსა და არა-რუსთ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ ორიოდე დღის წინად ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა B-ს ფელეტონები ამ სათაურით „ქართველ ერის საცოდავი ნაშთები". ამ ფელეტონებს ძალიან ცუდ გუნებაზე დაუყენებია „ჩვენი აზრის" რედაქცია და ალბად ამიტომ მისი მეპრესე მე-35 ნომერში მოჰყოლია ჩვეულებრივ ბავშვურ ტიკტიკს. ეჭვი არ არის, გაზეთს ძალიანა სწყინს, რომ ქართველებზე და ქართველ ერზე ვწერთ და არა ჩუკჩებზე და კამჩადელებზე. ჩვენთვის, რასაკვირველია, სულ ერთია—რა ეწყინება და რა არა გაზეთს, მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, გულსატკენია, როდესაც შენ მეზობელს, ამასთან მთელი რედაქციის კრებულს, გაზეთში დაბეჭდილი უბრალო, მარტივის და აშკარა აზრი არ ესმის.

ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, რა აზრი იყო გამოთქმული ხსენებულ ფელეტონებში. ავტორი ეხებოდა საქართველოს ზოგიერთ კუთხეებს და აღნიშნავდა, განვლილ დროში როგორ ჩამოაცალეს ეს კუთხეები საქართველოს და როგორ დაქსაქსეს იქ მცხოვრებნი. დღეს ოსმალეთში და სპარსეთში თითქმის ყველგან შეჰხვდები ამ კუთხეებიდან გაბნეულ, გადაგვარებულ და გადარჯულებულ ქართველებს. ავტორი, რასაკვირველია, მწუხარებას აცხადებდა ბედის ასეთ სისასტიკისა გამო. და განა, მართლა, სამწუხარო არ არის ეს მოვლენა? განა ამაზე წერა არ შეიძლება

მეპრესსე სწერს: „იგი (ესე იგი ჩვენი ფელეტონების ავტორი) ხედავს მხოლოდ გაბატონებულ კლასებს და მათი გადაგვარებით გულდამწვარი—მთელ ერს გადაგვარებულად თვლის". ჯერ ერთი, თუ გნებავთ, თვით გაბატონებულ კლასების გადაგვარებაც მაჩვენებელია ერის დაძაბუნებისა, რადგან მაგარი ერის გაბატონებული კლასები საეჭვოა რომ გადაგვარდნენ. მეორე, განა სამცხე-საათაბაგო, აჭარა და სხვა კუთხეები, რომელთა დაქსაქსვა-დანიავებაზედაც ჩვენი მეფელეტონე სწერდა, „გაბატონებული კლასებია"?

გაზეთი, რომელსაც ასეთი უბრალო რამე არ ესმის, არც ტყუილებს დაერიდება. აკი ასეცა სჩადის ხსენებული მეპრესსე: იგი თავის მკითხველებს ეუბნება, ვითომ ჩვენი მეფელეტონე ომს ქადაგებდეს და წართმეულ პროვინციების ხმლით დაბრუნებას გვირჩევდეს... ასეთი ტყუილები „ჩვენი აზრის" რედაქციას დასჭირდა მხოლოდ იმიტომ, რომ პატარა ბავშვივით ჯოხის ცხენზე შესკუპებულიყო და ნიშნი მოეგო ჩვენთვის: ეგ არის თქვენი სოციალისტობა! აი ჩვენ შემოგვხედეთ, რა კარგი ბიჭები ვბრძანდებით!

ჰე, მახლას!..

***

სხვათა შორის ჩვენი ფელეტონის ავტორი სწუხდა და გოდებდა ჩვენი საზოგადო ცხოვრების დაცემასა და სიდუხჭირეზე, რისთვისაც „ჩვენმა აზრმა" ასეთი სამდურავი გამოუცხადა, და განა სიდუხჭირე არ არის ის, რაც ჩვენში ყოველ ნაბიჯზე ხდება? მაგალითი ათასია, მაგრამ ჩვენ ამ ჟამად ვიკმარებთ ერთს, რომელსაც გუშინდელი „ზაკავკაზიე" გადმოგვცემს და რომელიც ახალ სენაკში მომხდარა. გაზეთი სწერს:

ახალ-სენაკის მცხოვრებნი მალზე ააღელვა, ფოთის ქალაქის სასწავლებლის მასწავლებლად ნამყოფის მეუღლე ხოჭოლავას ცოლის თამარის მხეც მკვლელობის გამომჟღავნებამ. ეს მკვლელობა ერთის წლის წინად მომხდარა. როგორც ეხლა გამოძიებამ გამოარკვია, ცოლი თვითონ ქმარს დაუხრჩვია. საამხანაგო სასამართლომ დაადგინა, განდევნოს თავის წრიდან ხოჭოლავა, ხოლო სახალხო სკოლების დირექტორმა ეს დადგენილება აცნობა ანსვენებულის თამარის მამას ა. მაგჭარაშვილს, რომელიც ნუსის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსად არის რომ სისხლის სამართალში მისცეს, ხოჭოლავა.


დაიბეჭდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემანი „ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოებისა"

1. **ილია ჭავჭავაძის** **კრიტიკული წერილები** ფასი 25 კაპ.
2. **ილია ჭავჭავაძის** **ცხოვრება და კანონი** ფასი 25 კაპ.

იბეჭდება მისივე „პოლემიკური წერილები" (კატკოვის პასუხად, პოლემიკა იანოვსკისთან და სხ.).

მზადდება დასაბეჭდად „აი ისტორია" და სხ. (5—1)

## დ. სამტრიადიაში

კვირას ამა ივნისის 14-ს

— გაიმართება —

## ყვავილობა და ლატარია

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ. (2—ნ.—1)

კვირას, 14 ივნისს, დილის 11 საათისთვის, დანიშნულია

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა**

## წლიური კრება,

საადგილ-მამულო ბანკის შენობაში (ფრეილინის ქ.).

კრების საგანი: 1) ბ-ნ კაკაბაძის რეფერატი: „წესი და განგება მეფეთა კურთხევისა მე-13 საუკუნეში"; 2) საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1908 წლისა; 3) შემოსავალ-გასავლის ანგარიში იმავე 1908 წლისა; 4) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1909 წლისათვის და 5) ახალ წევრთა არჩევა.

**ექიმი** **მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—100)

## სტუდენტი-ფილოლოგი

კისრულობს რეპეტიტორობას და ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასში. ოქრომჭედლების ქუჩა, № 23. დანდუროვი. საღამოს 5—7 საათ. (2—289—1)

**ვთხოვ** **ქრისტეფორე ჩუმაშვილს, ანდრია მაისურაძეს,** შემატყობინონ თავიანთი ადრესები და ქრისტეფორე ცეცხლაძეს—ამასთან გამომიგზავნოს „კნიჟკა", რომელიც დაუტოვე პეტროვსკაში. ჩემი ადრესი ტფილისი, რესტორან „ამმა", ალფეზა დავითულიანი. (1—295—1)

ასეთი მხეცური მკვლელობა თავის თავად გასაკვირველი არ არის, რადგან გაზეთებში ამაზე უარესსაც ხშირად ამოიკითხავთ. გასაკვირველი და გასაოცარი ის არის, რომ ისეთი მხეცი და დაცემული ადამიანი, როგორიც გამოდგა ხოჭალავა, მოწინავე კაცად და მეთაურად ითვლებოდა ფოთში და მთლად იმ კუთხეში. იმის სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა, იგი გაზეთებშიაც თანამშრომლობდა და დიდის რიხით ჰკიცხავდა თავის მოწინააღმდეგეებს, მაშ რა არის, თუ არ დაცემა და სიდუხჭირე ასეთ ადამიანების ცხოვრების სათავეში ჩადგომა და ბატონობა?!.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ივნისი

## ო ს მ ა ლ ე თ ი

**სტამბოლელი**. ჯევად-ფაშა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა მიტროვიცაში. როგორც დეპეშებიდანა სჩანს, ჯევად-ფაშა 4 ბატალიონით 8 ივნისს იპეკში მისულა, საიდანაც მიტროვიცაში წავა.

**ლონდონი**. დეპუტატთა პალატა. კრიტოსის საქმეების შესახებ შეკითხვაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ განაცხადა: კრიტოსის მფარველ სახელმწიფოებს აზრადა აქვთ თავიანთი ჯარი კრიტოსიდან 14 ივლისაიდე გაიყვანონ. ოთხივე სახელმწიფო შეთანხმდა და გადასწყვიტა კრიტოსის წყლებში გემები იყოლიოსო. დეპუტატთა პალატის წევრი ერნესტ გრეი შეეკითხა გრეის: თვითეულ სახელმწიფოს განსაკუთრებული გემი ეყოლება თუ არაო? ამაზე გრეიმ სთქვა, მაგაზე ვერას ვიტყვი, რადგან ჯერ არ შევთანხმებულვართო. სახელმწიფო ეცდება, რომ კრიტოსის ეხლანდელი მდგომარეობა არ შეიცვალოსო.

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი**. ბახტიარები კუმს უახლოვდებიან. კუმის გუბერნატორი თეირანში გაიქცა. კაზვინელმა რევოლიუციონერებმა თეირანისკენ გაილაშქრეს. ესენი თავიანთ მოქმედებას ბახტიარების მოქმედებას შეუთანხმებენ. თეირანის მცხოვრებლები ძალიან შეშინებულნი არიან: ზოგნი შამრანის მთებში გარბიან, ზოგნი ბახტიარებსა და რევოლიუციონერებთან დასახვედრად მიდიან. ბაზარში ამზადებენ წითელ ბაირაღებს. ქალაქში გაავრცელეს პროკლამაციები, სადაც მოყვანილია სია იმ პირებისა, რომლებისთვისაც რევოლიუციონერებს სიკვდილი გადაუწყვეტიათ. თეირანელ სომხების პარტია „დაშნაკცუტიუნი“ ტერორს ჰქადაგებს. გამოვიდა გაზეთ „ნედვატის“ პირველი ნომერი. გაზეთის მთელი ნომერი სავსეა რუსეთის წინააღმდეგ წერილებით რუსებს ლანძღავენ სპარსეთში ჯარის შეყვანისთვის.

ამბავი მოვიდა, რომ ნეჯეფიდან თეირანში წამოვიდა მუშტეიდი სეიდა-აბდულაო.

**თეირანი**. შაჰმა ხელი მოაწერა ახალ საარჩევნო კანონს.

## საზღვარ-გარედ.

**რომი**. 10 ივნისს დეპუტატთა პალატამ არ შეიწყნარა ფორმულა სოციალისტ მორგარისა, რომელიც პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში ჰკიცხავდა რუსეთის ხელმწიფე იმპერატორს.

**მარსელი**. კერძო გემების პატრონები პრინციპიალურად თანახმანი არიან, დაემორჩილონ საზღვაო მინისტრის გადაწყვეტილებას, იმ პირობით კი, რომ გემების პატრონებმა უნდა ასრულონ გაფიცვამდე დადებული ხელშეკრულებანი.

**ნიუ-კესტლი**. გემი „ვუდბერგი“ პირველ ივნისს საღამოთი მივიდა ტაინში. აქ გემს შეაკეთებენ. გარეშე პირებს აკრძალული აქვთ გემზე ასვლა, სანამ გემის მოსამსახურეებს ჩვენებას არ ჩამოართმევენ.

**ფეცი**. მულაი-გაფიდმა დაიჭირა კაზბუბულატი, მეკინსის მახლობლად. მულაი-გაფიდის ჯარის ერთგულება საეჭვოა. ევროპიელები ფეციდან მიდიან, რადგან ქალაქს ალყის შემორტყმას უპირებენ.

**ბერლინი**. მემკვიდრეობაზე ახალ გადასახადის დაწესების შესახებ კანონ-პროექტის მე-9 მუხლს ხმა მისცა 187 კაცმა, წინააღმდეგი იყო 195 კაცი. საპარლამენტო წრეებში ელიან, რომ 12 ივნისს რეიხსტაგის სხდომის გახსნისთანავე კანცლერი პარლამენტში სერიოზულ განცხადებას შეიტანს.

**კემბრიჯი**. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა დაათვალიერეს კემბრიჯის უნივერსიტეტი. იქ, სხვათა შორის, დეპუტატები დაესწრნენ სამეცნიერო ხარისხის მიღების დღესასწაულს. დოქტორის ხარისხი, სხვათა შორის, მიიღეს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ტიმირიაზევმა, დარვინის ერთმა შვილმა და პრინცმა როლანდ ბონაპარტმა. ტრინიტიკოლეჯში დეპუტატებს საუზმე გაუმართეს. კემბრიჯის სტუდენტთა პანსიონის და კოლეგიების დათვალიერების შემდეგ, დეპუტატებმა ინახულეს დარვინის ოჯახი, შემდეგ ლონდონში წავიდნენ.

**ლონდონი**. „სტანდარტს“ იოჰანნესბურგიდან ატყობინებენ: ხალხმა მთავრობას პროტესტი განუცხადა, ტრანსვალის რკინის გზის რელსები რუსეთის ფირმებს რად შეუკვეთო. მცხოვრებნი აღელვებულნი არიან, რომ მთავრობამ ეს სამუშაო ინგლისელებს არ მისცა და ამ სამუშაოს დანიშნულ საჯარო ვაჭრობაში ამ უკანასკნელთ მონაწილეობა არ მიაღებინაო. ამის შესახებ სახალშენო ფინანსთა მინისტრმა გებმა განაცხადა, რომ ინგლისის მექარხნეებს ტრესტი აქვთ შეკრული და ფასებს უმატებენო. აღნიშნა აგრეთვე, რომ ტრანსვალის მთავრობამ 200,000 მანეთი მოიგო იმით, რომ რელსები რუსის ფირმებს შეუკვეთაო.

**ამსტერდამი**. დამატებით არჩევნების შემდეგ დეპუტატთა პალატის შედგენილობა შემდეგია: 27 ლიბერალი, 8 დემოკრატი, 5 სოციალისტი, 25 კათოლიკე, 23 პროტესტანტი, 12 ქრისტიანი-სოციალისტი. პალატაში მემარჯვენე არის 60, მემარცხენე—40 დეპუტატი. წინანდელ პალატაში 40 მემარჯვენე იყო, 51 მემარცხენე.

**ბერლინი**. რეიხსტაგმა უარჰყო მთავრობის კანონ-პროექტის მე 9 მუხლი, რომლითაც მემკვიდრეობაზე ახალი გადასახადი წესდებოდა. კენჭის ყრის შემდეგ რეიხსტაგის წევრები ძალიან აღელვებულნი იყვნენ. ცენტრი დღესასწაულობს, რადგან იგი ხელმეორედ გადაიქცა გაბატონებულ პარტიად. კენჭის ყრას დაესწრო კანცლერი. ლიბერალური წრეები მომხრენი არიან, რომ რეიხსტაგი დაითხოვონ, კონსერვატორები ფრთხილობენ, ვაი თუ რეიხსტაგის დათხოვნამ სოციალ-დემოკრატია გააძლიეროსო. ამ მუხლის შემდეგ რეიხსტაგმა უარჰყო ყველა ის მუხლები, რომელნიც მემკვიდრეობაზე ახალ გადასახადის შემოღებას ეხებოდნენ. კენჭის ყრის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კანონ-პროექტს მესამედ აღარ გადავიკითხავთ, რადგან რეიხსტაგმა იგი სულ მთლიანად უარჰყოო.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი**. სენატის პირველმა დეპარტამენტმა დაადგინა, სამართალში მისცეს მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგად ნამყოფი ნიკიტინი, ვოლოგდის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგე პ ვლოვსკი და ბოგდანოვი. ამათ ბრალდებათ პეჩორის ტყეების ექსპლოატაციის დროს ბოროტმოქმედების ჩადენა.

**რიაზანი**. სოფელ ტროიცკაში ცეცხლისგან 159 სახლი გადაიწვა. დაზარალებულების მდგომარეობა აუტანელია. დაზარალებულებს ერობამ შემწეობა აღმოუჩინა.

**პეტერბურგი**. კოკანდის საპირყო კომიტეტმა სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად აირჩია პროხოროვის სამანუფაქტურო ქარხნის დირექტორი ნიკოლოზ პროხოროვი.

დღე-ღამეში ხოლერით ავადა გახდა 73, გარდაიცვალა 13; პეტერბურგის გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 2 კაცი.

არხანგელსკის, ვოლოგდის, ნოვგოროდის, ოლონეცის, პსკოვის, რიაზანის, სმოლენსკის, ტვერის, იაროსლავის, ასტრახანის, ბესარაბიის, ყაზანის, ორენბურგის და პერმის გუბერნიებში, ტურგაის, ურალის და დონის ოლქებში განსაკუთრებული უფლებები გუბერნატორებისა და ოლქის უფროსებისა ერთი წლით კიდევ განაგრძეს. ეს უფლებები შეეხება სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვას.

ნიკოლაევის საგრადონაჩალნიკოში გაძლიერებული წესები ერთი წლით დასტოვეს.

პეტრაკოვის გუბერნიასა, სერამის და ლენჩიცკის მაზრებსა, კალიშის გუბერნიასა და ოლკუშის მაზრაში (კელეცის გუბერნია) სამხედრო წესებს მაგიერ ექვსი თვით განსაკუთრებული წესები შემოიღეს.

**მარიენამი**. (აბობერნებურგის გუბერნია) პეტერბურგიდან ჩამოსული ქალი ხოლერით ავად გახდა.

**კიევი**. ფერშალთა და ფერშალ-ქალთა მეორე კრებას 70 მოხსენება აქვს განსახილველი, მათ შორის, ფერშალთა კავშირების და საფერშალო-საბებიო სკოლაში სწავლის დაყენების შესახებ. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ციურიპი, ელისავეტგრადის ექიმი. თანაშემწედ საზოგადოების თავჯდომარე. მოხსენებები სამად გაჰყვეს: საორგანიზაციო, პროფესიონალური და ფერშალთა ყოფა-ცხოვრების შესახებ. კრებასთან არსებობს საექიმო- საქირურგიო საგნების გამოფენა.

**ნოვოჩერკასკი**. უსტ-მედვედიცის სატუსაღოდან გაიქცა სამი ტუსაღი. დარაჯებმა მოჰკლეს 2 ტუსაღი, ერთი მიიმალა.

**ტულა**. მაშკოვის და დენისოვის საზოგადოებებში დიდი წვიმის გამო ადიდებულმა წყალმა დაახრჩო ერთი გლეხი და 275 ცხვარი. წყალმა გააფუჭა 228 დესეტინა ნათესი, დაიღუპა ბევრი გლეხის ქონება. კენევის მაზრაში მდინარე ოსეტრამ წაიღო ორი გლეხი ეტლით. ერთი გლეხი დაიხრჩო, მეორე საერობო დარაჯმა გადაარჩინა.

**„დროების“ ხვალინდელ „სურათებიან დამატების“ შინაარსი: „ხოვდაგარი“, მოთხრობა ვასილ ბარნოვისა; სურათები: „გამარჯვებულნი“—სურათი ვერეშჩაგინისა, მსახიობი ქალი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, სომხთა კათალიკოსი იზმირლიანი და კარიკატურა.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **გამოძიება ტფ. გუბერნატორის მოქმედების გამო.** „პეტ. დეპეშათა სააგენტო“ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს. „სენატის პირველმა დეპარტამენტმა დანიშნა წინასწარი გამოძიება (სასჯელთა დებულების მე-341 და 348 მუხლები) ტფ. გუბერნატორის ლოხინო-ლოხინსკის მოქმედების გამო, რომელმაც დააპატიმრა გაზეთ „გოლოს კავკაზა“-ს სამეურნეო ნაწილის გამგე“.

✦ **პროტესტი**. როგორც მკითხველებმა იციან, ამას წინად ბაქოში ვიღაცეებმა მოჰკლეს ქარხნის ინჟენერი ბორისოვი. ამ მკვლელობის გამო მოხდა ინჟენერებისა და ტეხნიკოსების კრება. კრება იქამდე მივიდა, რომ გაჰკიცხა მუშები და მკვლელობა თითქმის მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებს გადააბრალა. ნავთის წარმოების მუშათა კავშირის საბჭომ და სამექანიკო წარმოების მუშათა საზოგადოების გამგეობამ ეხლა პროტესტი განაცხადა როგორც ეკონომიურ ტერრორისა, ისე ინჟენერთა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვების წინააღმდეგ.

✦ **ექსკურსანტები**. ხვალ ტფილისში ჩამოვლენ პეტერბურგის უმაღლეს ქალთა კურსების მოწაფენი, 50 ქალი. [illegible] კავკასიაში წამოსულნი.

✦ **ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**. რედაქციამ მიიღო წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გამოცემული ორი წიგნი—ილია ჭავჭავაძის თხზულებანი: 1. „კრიტიკული წერილები“ და 2. „ცხოვრება და კანონი“. წიგნების ფასი ხუთ-ხუთი შაურია. ორივე წიგნი კარგად და სუფთად არის გამოცემული.

✦ **წარმოდგენა არტისტ სვიმონიძის სასარგებლოდ**. დღეს, 13 ივნისს, სახაზინო თეატრში გაიმართება წარმოდგენა ავადმყოფ მსახიობის ს. სვიმონიძის სასარგებლოდ. წარმოდგენას ამხანაგები მართავენ. სვიმონიძეს ექიმებმა ურჩიეს სამკურნალო წყლებზე წასვლა, მაგრამ სახსარი არა აქვს. წარმოდგენილი იქნება სენკევიჩის რომანიდან გადაკეთებული პიესა „სად მიხვალ“?.. თარგმანი აკაკისა.

✦ **რევიზიის შედეგი**. ახლო ხან ბათუმში, ქალაქის გამგეობის განკარგულებით, მოხდა რევიზია ადგილობრივ ქალაქის საავადმყოფოსი. რევიზიას, „ბატ. ნ.“-ს სიტყვით, ის შედეგი მოჰყვა, რომ დაითხოვეს საავადმყოფოს ზედამხედველი ი. ნ. ბერეჟიანი და მისი თანაშემწე ნ. ხომერიკი.

✦ **ნ. შესტოვის ლექცია**. ხვალ, 14 ივნისს, ზუბალიშვილის სახალხო სახლში ნ. შესტოვი წაიკითხავს ლექციას „სანინი“. დასაწყისი დილის 12 საათზე.

✦ **აკაკი წერეთლის სახელობის სკოლა**. ნამესტნიკმა ნება დართო, მამადავითის ქალაქის სკოლას დაერქვას აკაკი წერეთლის სახელი

✦ **მამული იჯარით**. წერა-კითხვის საზოგადოებამ ჭავჭავაძისეული მამული საგურამოში 9 წლით იჯარით მისცა ერთ ესტონელ კაპიტალისტს. იჯარის ფასი წელიწადში 3000 მანეთია.

✦ **სახალხო სახლის სამკითხველო**. ზუბალაშვილის სახალხო სახლის სამკითხველო ყოველ დღე ღიაა დილის 9—1 საათ. საღამოთი 5—8 ს. სამკითხველოს ბევრი მკითხველი ეტანება, დღეში 200 მკითხველზე მეტი შედის.

# გაზაფხული

***

სიომ დამბერა გაზაფხულისამ,
დამშვენდა ბარი, ამწვანდა ველი;
სულო ბედკრულო, შენც მიესალმე,
შორს გადაჰფანტე მწარე ნაღველი.
სატრფო მეძახის, თავისკენ მიწვევს,
იქ გამიღიმებს კვლავ სიხარული;
ბრძოლით დაქანცულს მუხთალ სოფელში
ცად აამაღლებს სულს სიყვარული!
რომელმა ძალამ სხვამ ასულდგმულოს
ელი ტრფობისი ვინც ვერ იგემოს?
ვაი მას, ვისაც გრძნობა დაეხშა
და მიჯნურისთვის მარად არ ხელობს!.

***

განთიადისას მთას მივდიოდი,
სულით მწუხარე და სევდიანი;
ჩემ წინ მიჰქროდა ბედი შავ-ბნელი,
არ აშინებდა გზა ეკლიანი.
მივუახლოვდი ცხოვრების წყაროს,
ვარდს დავაპკურე ციური ცვარი;
უცბად მომესმა ხმა ბუჩქებიდან
და მოვიმარჯვე მსწრაფად ისარი.
მაგრამ ერთ ადგილს გაშეშებულმა
ვიხილე უცხო რამ სანახავი:
სერზედ გადმოდგა ვინმე ასული,
ვით შევარდენი ცქვიტი, მქროლავი.
უღვთოდ დამკოდა მშვენებით სავსემ...
აწ ნორჩი გული მისკენ მიფრინავს;
ნუ თუ კვლავ ტურფას, სხივებით შემკულს,
სული, ტყვედ ქმნილი, ველარ იხილავს?

***

არ დავივიწყებ ციურ სახესა,
თუნდ გადაფრინდეს უცხო მხარესა.
გული თაყვანს სცემს, ეალერსება,
მართ ოდენ ხელქმნილს ის მელანდება!

მისით ვსულდგმულობ, მისკენ მივილტვი,
ბნელით მოცულ გზას იგი მინათებს,
მის წინ მუხლს ვიდრეკ, მასზედ ვლოცულობ,
სასოწარკვეთილს იგი მამხნევებს.
ხან ნაღვლიანი ფიქრს მივეცემი,
ხან ცრემლებს ვაფრქვევ, სული ლონდება;
ასე მიჰქრიან სიცოცხლის დღენი,
სახმილი ბედკრულს არა მნელდება.

***

საით მიგყევარ, ტურფა ასულო,
შენი ღიმილი მიწვევს რა მხარეს?
აჰა, მთის წვერვალს მოუახლოვდით,
დაბლა დავსცქერით სოფელს მწუხარეს.
გსურს გადამჩეხო?—მაგას ვერ შესძლებ!..
ფრთებსა შემასხავს მე სიყვარული;
კვლავ მოვფრინდები სულის მტანჯველთან
და ჰანგს გიმღერებ გულით ვნებული!

***

ვეტრფი შავს თვალებს
მარად მგზნებარეს;
წუთი-სოფელი
კვლავ შემაყვარეს!
მთისკენ მიმაფრენს
გრძნობა ცხოველი,
იქ არის ტურფა
ჩემი მტანჯველი,
ხსნას თუ სიკვდილსა
მისგან მოველი!

***

ოჰ, მეგობარო, ნუ განრისხდები
და ნურც გაჰკიცხავ სულის კვეთებას;
მსურს ჩემს ღვთაებას, წმინდათა-წმინდას,
მარად ვასხავდე ქებათა-ქებას!
როდესაც გიმღერ, ამით არა მსურს
მე შევურაცხყო შენი სახელი;
გრძნობამ დამძლია და შეგიყვარე
მთის ნაზი შვილი სულით ნათელი!

თუ მოგაგონო ჩემს სავალალოდ
და ცრემლი თვალით გადმოიღვაროს;
სჯობს შენი ხელით ტიალს მინდორზე
შავი სამარე მე გამეთხაროს!

***

მოგიკრეფ ყვავილს მთაში გადაშლილს,
დილის ნამითა მოგიკლავ წყურვილს;
გიმღერებ ნანას ზეშთაგონებულს,
ფრთებსა შევასხავ შენს წმინდა სურვილს.
დამფრთხალს შეგიპყრობ, ზღაპრებს მოგითხრობ,
ვნებით აღვსილი დაიწყებ თრთოლვას;
მკერდს მიგისვენებ და ჩაგჩურჩულებ,
რომ წრფელი გულით უყვარხარ მგოსანს!..

***

ოდეს მშორდები და მარტო მტოვებ,
შენკენ მოილტვის ჩემი ოცნება;
მთებს გადაივლის მსუბუქ ფრთიანი,
რა ვერა გპოვებს, ცრემლად იღვრება!
მსურს შევევედრო განგებას ძლიერს,
მსურს კვლავ ვიხილო სატრფო გულისა;
ახ, რისთვისა ვარ მარად ერთგული
მე უიმედო სიყვარულისა!?.

***

მოფრინდი ჩემთან, ჩემი იქნები,
ფეხთით დაგიფენ ვარდსა და იას;
დაგიშლი დალალს, მევე დაგიწნავ,
დავუკრავ ჩანგურს მომხიბვლელ ხმიანს.
ვიცი, ნაღველმა სული შეგხუთა...
ჩემთან კვლავ შეჰსვამ ფიალით ნექტარს;
ნულარ აყოვნებ, მოდი, მოფრინდი!
თორემ სიკვდილი უსწრობს მეგობარს!..

***

ხმა იდუმალი ყურს ჩამჩურჩულებს:
სატრფო გიმუხთლებს, არ შეგიბრალებს;
ულვთოდ დაგტანჯავს, ადრე დაგაჭკნობს,
თვითვე გაგითხრის შავსა სამარეს!
დაე, აღსრულდეს ეს წინადგრძნობა,
ცრემლ დაუფრქვევლად საფლავს დამმარხოს;
მსურს მისი ხელით ბოლო მომეღოს
და შავი მიწა გულს მომეყაროს!..
გაივლის ხანი, თვითვე ინანებს,
ჩემს მკრთალს აჩრდილსა მოუალერსებს;
მოვა საფლავთან შეწუხებული
და შავს თვალთაგან დამამფრქვევს ცრემლებს.
ვერ გავიგონებ ხმასა ნაღვლიანს
ველარც ჩანგურზე დავმღერებ ჰანგსა;
მოთქმით ტირილი რაღას მიშველის,
ცრემლი ამაოდ დასთრვილავს ვარდსა!..

***

ჩემი ჩანგური, გრძნობით აღვსილი,
ქებას შეასხავს წრფელს სიყვარულსა;
სიმშვენიერეს დაუკმევს გუნდრუკს,
წყლულსა მოურჩენს დაკოდილს გულსა.
მაგრამ თვითონაც ისარს გაისვრის
სატრფოს ნაზსა სულს ჰანგით მოჰხიბლავს;
თვით ატირდება, სხვასაც ატირებს,
თვით განგმირული სხვასაც გაჰგმირავს!..

***

ტურფავ, ნუ ეძებ ედემის ყვავილს,
შენ თვით ვარდი ხარ, ცით მოწყვეტილი;
ნუ დამაობლებ სიამით აღვსილს,
რად გშურს მომაგო მეც აწ კეთილი?
გულში აღგიგე გრძნობათა ძეგლი,
მას ნუ დაანგრევ, გემუდარები;
წამმა ტრფობისამ, დე, ასულდგმულოს
და შუქსა მფენდნენ შავი თვალები!

***

ოდეს გიხილე, ჩემო მნათობო,
სული შთამბერე, აღმიგზნე გული;
თამამი გრძნობა დაიმონავე
და შემოგფიცე მე სიყვარული.
მოფრინდი ჩემთან, მსურს შენი სუნთქვა
ჩემს ნელს სუნთქვასა უერთდებოდეს;
მსურს მკერდს დავეყრდნო, რომ ჩვენი სული
შფოთავდეს ვნებით და თან ბნდებოდეს!..
დაე, აჰყვავდეს ერთხელ ყვავილი:
ვიცი ხვალ იგი კვალად დასჭკნება;
ალერსით მივალთ სიკვდილის პირას,
ერთად სამარე ჩვენ გაგვეთხრება!...

***

კვალად ამაღლდა სული ობოლი,
რა სიყვარულმა მიძღვნა სალამი;
ვარდს გავუღიმე ამაყს, მშვენიერს,
მკერდს დამეპკურა ციური ნამი.
უცხო ჰანგებმა გრძნობა მოხიბლეს,
ოცნების მხარეს გადამაფრინეს;
იქ ვპოვე სატრფო, ჩემი მტანჯველი,
შავმა თვალებმა კვლავ მომალხინეს!..

***

დაღლილს, დაქანცულს მწარე სევდითა
სულსა მიხუთავს ბნელი ზეწარი;
მაგრამ როს მიმზერ, თვალთა ციმციმი
ნათელ შუქსა მფენს, ვითა ცისკარი!..
კვლავ შენს ახლო ვარ! გიმზერ და ვსტკბები,
ნანას გვიმღერის მთის ცივი წყარო;
მსურს კვლავ სიცოცხლე, თუნდაც ვიტანჯო;
შენზედ უტკბესი ვინ შევიყვარო?

***

ნაზი ღიმილით და ციურ ჰანგით
აწ გაზაფხულმა გვიძღვნა სალამი;
ტრფობით შევხედეთ ჩვენც ერთმანეთსა
და დაგვავიწყდა გულის ვარამი!
მთრთოლვარე ხელი ოდნავ მომხვიე,
თავი მომაპყარ მკერდსა მგზნებარეს;
ხმას არა გცემდი დამთვრალი ვნებით,
შემომცქეროდი მარად მდუმარეს.
რისთვის მომპარე კოცნა, ლამაზო,
მას თან გამოჰყვა სულის სიმშვიდე;
თან გამოგყვები, თუნდ შორს გაჰფრინდე
ტანჯვით გამგზავრე კიდით-კიდე.

***

სანთელს ჩავაქრობ, სარკმელს მიგიყვან,
სხივით შეგამკობს ციდან ვარსკვლავი;
ჩქრიალს გაიგებ ნელსა, საამოს,
მთიდან დაგვპერავს გრილი ნიავი.
მხურვალე ბაგეს დაგეკონები
და აგზნებული ტანჯვით მოვკვდები,
დუმილით გეტყვი და გაგრძნობინებ,
რომ მიყვარხარ და კვლავ მეყვარები!..

***

გახსოვს ვისხედით ორნი წყლის პირას,
კლდეს ოდნავ ტალღა ეხეთქებოდა;
არსით მოსჩანდა შავი ღრუბელი,
ცა მოკამკამე გვედიმებოდა.
ტკბილად ჰმღეროდი, მე ყურს გიგდებდი,
მთრთოლვარე ხელით გიშლიდი დალალს;
ხელში გეჭირა ია ფერმკრთალი,
გულს იკონებდი უდროოდ დამჭკნარს!..
დრტვინვა გულისა, ეჭვნი საზარნი
აღარ მტანჯავდნენ, არც მაშფოთებდნენ;
წამით ვიყავი იქ ბედნიერი
და ცით მნათობნი შუქსა გვაფრქვევდნენ!

✦ **სწავლა დამთავრებულნი.** ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიაში წელს სწავლა დაამთავრა 42 მოსწავლემ. ამათში ქართველი სამია.

✦ **უპასპორტოების დაპატიმრება.** პოლიციის მეორე ნაწილში საყოველთაო გაჩხრეკის დროს დაპატიმრეს 42 უპასპორტო კაცი. ამავე დღეს და ამავე მიზეზისა გამო პოლიციის მე-7 ნაწილში დაპატიმრეს 17 კაცი.

✦ **მკვლელობა.** 8 ივნისს მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს სასიკვდილოდ დაჭრილი ვლადიმერ ბარაბანჩიკოვი, რომელსაც მუცელში ჰქონდა ხანჯალი ჩაკრული. ბარაბანჩიკოვი, ხელობით ასოთ-ამწყობია, ავჭალის ქუჩაზე სახალხო ავუდიტორიის მახლობლად დაუჭრიათ უცნობებს. დაჭრილი ამხანაგებს ბობროვსა და მოსიენკოს მიუყვანიათ, რომელნიც დააპატიმრეს და გამოძიებას შეუდგნენ. ბარაბანჩიკოვი უკვე გადაიცვალა.

✦ **შემოწირულება.** რედაქციამ მიიღო ჭიათურიდან ბ-ნ გაბრიელ გალუსტოვის მიერ ადგილობრივ ბაზარში შეგროვილი 11 მანეთი და 65 კაპეიკი ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად.

✦ **საჩივარი.** ავლაბრის გიმნაზიის ინსპექტორმა ი. ს. ღულაძემ საჩივარი აღძრა გაზეთ „რუსკი კავკაზა"-ს რედაქტორის წინააღმდეგ. უჩივის გაზეთით ცილი დამწამაო. ამ ორი კვირის წინად აღნიშნულ გაზეთში მოთავსებული იყო წერილი. გაზეთი ამბობდა, რომ ღულაძემ გიმნაზიაში ბოროტ-მოქმედი პირები მიიწვია მასწავლებლად და ამით ბოროტ-მოქმედებას ხელი შეუწყოო.

✦ **წერა-კითხვის საზოგადოება.** 11 ივნისს მოხდა სხდომა წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობისა. გამგეობამ მოისმინა მოხსენება საზოგადოების სკოლების მდგომარეობის შესახებ და დაადგინა, მოხსენებანი გადაეცეს სასკოლო სექციას და სთხოვოს წარუდგინოს გამგეობას თავისი აზრი სკოლების მდგომარეობის შესახებ. ამავე სხდომაზე გამგეობამ მოისმინა მოხსენება თავმჯდომარის ნ. გ. ყაზბეგისა. თავმჯდომარის აზრით, უნდა გადაიდოს სამუზეუმო შენობის ასაგები ფონდიდან ფული ილია ჭავჭავაძის მიერ ნაანდერძევ სახლის შესაკეთებლად, რომ ამ სახლში, შესაფერ შენობის აგებამდე, შეიძლებოდეს საზოგადოების მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გადატანა. გამგეობამ დაადგინა, ახლო მომავალში მოიწვიოს საგანგებო სხდომა ამ საქმის გადასაწყვეტად.

**არტისტთა ამხანაგობა პროვინციაში.** ტფილისის ქართულ დრამატიული დასის ამხანაგობა, რომელიც ამ ერთი თვის წინად გაემგზავრა პროვინციაში წარმოდგენების გასამართავად, უკვე დაბრუნდა. წარმოდგენები გაუმართავს შემდეგ დაბა-ქალაქებში: გორსა, ყვირილასა, ჭიათურასა, ქუთაისსა, სამტრედიასა, ფოთსა სოხუმსა და ახალ-სენაკში. სულ 13 წარმოდგენა გაუმართავს და აუღია 1695 მ. 17 კ. სოხუმიდან მთელი დასი გამგზავრებული ახალ-ათონის მონასტრის სანახავად გზაზე ქარიშხალი ამოვარდნილა და გემმა, რომელზედაც არტისტები ისხდნენ, დასი ქ. ნოვოროსიისკში მიიყვანა, რის გამო ახალ-სენაკში გამოცხადებული წარმოდგენა დროზე ველარ დასდგეს.

✦ პოლიციამ დააპატიმრა ალექსანდრე ზახაროვი, რომელსაც რიყეზე გიორგი აბულაძის აფთიაქიდან 25 მანეთის ნივთები მოუპარავს.

# ჩვენის სამღვდელოების საქმიანობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზეთ „ზაკავკაზიეს" 14 მაისის ნომერში მოთავსებული იყო ვინმე „მანანის" წერილი „ტფილისის ქართველ სამღვდელოების საყურადღებოდ". ავტორი სცდილობს მიაქციოს სამღვდელოების ყურადღება იმ შეთანხმებაზე, რომელიც უნდა მოხდეს სასინოდო კანტორასა და ქალაქის თვით-მმართველობის შორის შესახებ გაუქმებულ სასაფლაოსი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. ავტორი ემუდარება სამღვდელოებას, სანამ გვიან არ არის, ნუ გაუშვებს ხელიდან ამ ყოვლისფრით შემკულ მამულს თავის განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, აქ შეიძლება გადმოტანილ იქმნას საეპარქიო სანთლის ქარხანა და დედათა საეპარქიო სასწავლებელი, რომელიც სივიწროვისა გამო სულ-შეხუთულია ანდრეევის ქუჩაზე,—რასაკვირველია შესაფერ სასყიდლის გაღებით ან საიჯარო გადასახადის ძლევით ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასარგებლოდ. ქალაქის თვითმმართველობა კი მოწადინებულია ყოფილ სასაფლაოს ჯერ ერთი ნაწილი და შემდეგ მთლად, სივრცით ხუთი დესეტინა, ქალაქის სასეირნო ბაღად აქციოს.

ავტორი, აღნიშნავს-რა ქალაქის ქართველ ეკლესიათა ეზო-მიდამოების ამ უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში სხვა და სხვა კერძო პირთა თუ დაწესებულებათა ხელში დაჩემებით გადასვლას და ეკლესიების შეზღუდვა-შევიწროვებას, როგორც მაგ., სიონის ტაძრისა, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზისა, წმ. სამებისა და სხვათა, გამოსთქვამს სამართლიან მოსაზრებას, რომ ასეთი ბედი მოელის ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიასაცაო.

ქართველ სამღვდელოებას ამ ეკლესიის ეზოს ერთ კუთხეში საეპარქიო სანთლის ქარხნის სათეთრებელი განყოფილება აქვს მოთავსებული, რისთვისაც ქარხანა წლიურად აძლევს ეკლესიას ოც თუმანს. უკანასკნელ საეპარქიო კრებებზე არა ერთხელ გამოთქმულა აზრი, რომ სანთლის ქარხანა თავის სხვა და სხვა განყოფილებით ერთად ყოფილიყო მოგვარებულ-მოთავსებული. ადვილი წარმოსადგენია ის უხერხულობა, რომელსაც განიცდის სანთლის ქარხანა დღეს იმ გარემოებით, რომ თვით ქარხანა იმყოფება ვარდის-უბნის ქუჩაზე, ხოლო მისი სათეთრებელი განყოფილება, სადაც დიდ-ძალი სანთელი აქვს ხოლმე ქარხანას გაფენილი,—ვერის ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში! ეს მეტი რომ არა ვთქვათ, უხერხულობა ნათლად წარმოდგენილი ჰქონდა საეპარქიო კრებას, რომელმაც მიანდო კომისიას ამ ნაკლის თავიდან აშორება, ესე იგი, მთელი ქარხნის ერთად მოთავსება. მაგრამ ამ კომისიის მოქმედებაზე აქამდის არა ისმის რა. ეხლა მაინც დროა,—სწერს ბ-ნი მან-ანი სამღვდელოების მიერ არჩეული კომისიები შეუდგნენ ამის გამორკვევას, თუ სამღვდელოებს რომელ დაწესებულებისთვის უფრო გამოსადეგი იქნება აღნიშნული გაუქმებული სასაფლაო—სანთლის ქარხნისთვის, რომლის ხარჯითაც ინახება დედათა საეპარქიო სასწავლებელი, თუ ამ უკანასკნელისათვის?

„კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო", ნათქვამია. სამწუხაროდ, ქართველ სამღვდელოებას არც გამგონე ჰყავს ვინმე, არც გულშემატკივარი და თითონაც ცუდი გამგონეა. ბევრი კარგი დადგენილებაც რომ გამოიტანოს სამღვდელოების ამა-თუ იმ საეპარქიო კრებამ, ფუჭია ეს დადგენილებანი, თუ მათ ყურისმგდებელ-აღმასრულებელნი არ ეყოლება. ვინ უნდა ასრულებდეს სამღვდელოებისადმი ასეთ მოვალეობას? რასაკვირველია ის, ვინც მოიწოდებს ხოლმე საეპარქიო კრებებს სამღვდელოების საჭიროებათა თუ საეკლესიო ამა თუ იმ საკითხის ასახსნელ-გამოსარკვევად, ესე იგი, საეპარქიო მთავრობამ. ეს უკანასკნელი ვალდებულია სისრულეში მოიყვანოს სამღვდელოების კრების ის დადგენილებანი მაინც, რომელიც დამტკიცებულ იქმნენ არსებულის წესით.

მაგრამ ჩვენში, იმ თავიდან, რაც გაუქმებულ იქმნა ივერიის სამოციქულო ეკლესიის კრებითი წესით მართვა-გამგეობა და ნაცვლად ასეთ მართვა-გამგეობისა შემოღებულ იქმნა სინოდალურ ეკლესიის „საეპარქიო სიეზდები"—ეს ფორმალური აჩრდილი ეკლესიის ოდესმე წარმომადგენლობით მმართველობისა,—სასულიერო ბიუროკრატია ასეთ „სიეზდებსაც" კი მტრულის თვალით უცქეროდა და განსაკუთრებით უცქერის დღეს, როდესაც რუსეთის სამღვდელოებამ საზოგადოდ და ქართველმა კერძოდ გაჰბედა საკუთარ სურვილების გამომჟღავნება, საკუთარ მსჯელობის გამოთქმაც ამა თუ იმ საგანზე. ეს, თუმცა დროებითი და შემთხვევითი, გამოღვიძება სამღვდელოებისა, მეტი რომ არა ვთქვათ, არაფრად ეპიტნავა ჩვენს საეკლესიო ბიუროკრატიას. იგი მხნედ შეუდგა სამღვდელოების ძალთა, მისს მოქმედებათა კვლავ მიძინება-მისუსტებას, რასაც საუცხოოდ ხელი შეუწყო გამეფებულმა მძლავრმა პოლიტიკურმა რეაქციამ. ამიტომ არის, რომ ჩვენის სამღვდელოების საეპარქიო კრებათა დადგენილებანი, რომელთაც ცოტად თუ ბევრად რაიმე სიცოცხლის ნიშან-წყალი ადევს, დღესაც შეუსრულებელი ჰყრია საეპარქიო კანცელარიებში. გარნა „მღვდლების კომისიები", რომელთაც კრებისაგან დავალებული აქვთ ესა თუ ის მინდობილობანი, **ფრთხილობენ**, ვინაიდან „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო", ნათქვამია. მართლაც, ბიუროკრატიას საზოგადოდ არ უყვარს, როდესაც ვინმე სამღვდელოების ან საზოგადოების სახელით ლაპარაკობს ან მოქმედებს. ასეთი პირი, მათის შეხედულობით, „კრამოლნიკია" მტერია „წესიერებისა".

მდგომარეობის ასეთი ვითარება კარგად აქვს შეგნებული ქალაქის ქართველ სამღვდელოებას, რომლის წრიდანაც სამღვდელოების საეპარქიო კრება იძულებულია აირჩიოს ესა თუ ის კომისია. ამიტომაცაა, რომ ქალაქის მღვდლები პირივით გაურბიან ასეთ კომისიებში მოყოლას, ვინაიდან კომისიაში მოყოლა მათ არა კეთილ-საიმედო პირად ჰხდის უფროსების თვალში,—და თუ მაინცა და მაინც არჩეულ იქმნებიან კომისიებში, სცდილობენ არაფერი გააკეთონ და თუ რაიმეს გააკეთებენ, თვალ-წარბში შესცქერიან ვისაც ჯერ-არს—აბა როგორ ან რა სახით იქნება სამღვდელოების ამა თუ იმ დადგენილობის შესრულება უფროსებისთვის სასიამოვნოო.

ქალაქის სამღვდელოება კერძო, ოჯახურ საქმეებშია ჩაფლული. მათი შვილები გიმნაზიებ - უნივერსიტეტში სწავლობენ, უნდათ შთამოავლობა მაინც იხსნან „სასულიერო უწყების" ბრჭყალებისაგან, ამიტომ ხარჯიც ბევრი აქვთ, სულ იმის ფიქრში არიან, საიდან და როგორ შეიძინონ მეტი, ფული, რომ ოჯახის მოთხოვნილებას გაუძღვნენ, თბილად და ტკბილად იცხოვრონ. დეე, საზოგადო საქმეზე იმათ იზრუნონ, ვისაც „ენა, ან ხელი, ან ტვინი ექავებაო" (ნამდვილი სიტყვებია ერთ „მოღვაწე" სასულიერო პირისა). ისინი, მუდამ საკუთარ საქმეებით დატვირთულნი, თითქოს დროსაც ვერ პოულობენ საზოგადო საქმის გასაკეთებლად. მაგრამ, თუ მთავრობამ მიანდო რაიმე „საქმე" და თუ „საქმეც" ცოტაოდენ გროშებსაც იძლევა, მაშინ ერთგვარის წინადასწრებით ასრულებენ ასეთ მინდობილობას. ამისთვის დროსაც საკმაოს პოულობენ და ნიჭსაც შესაფერს იჩენენ, თუ გინდ „სტოლონაჩალნიკის მოვალეობის ასრულებაში"! ერთის სიტყვით, სამღვდელოებისადმი სამსახური ქალაქის მღვდლებისათვის არ არის ხელსაყრელი, მათ უფრო ემარჯვებათ კანცელარია-კანტორიდან გაგზავნილ ბრძანებების ასრულება, რისთვისაც შესაბამ ჯილდოსაც გაიკრავენ ხოლმე...

გარდა სანთლის ქარხნისა, დედათა საეპარქიო სასწავლებლის და სასულიერო სემინარიის შენობის საქმეთა მოგვარებისა, უკანასკნელ წლებში მოწვეულმა საეპარქიო კრებებმა სხვა ბევრი საქმეც მიანდეს ქალაქელ მღვდლებისაგან შემდგარ კომისიებს, რომელთაგან არც ერთს არც ერთი დავალება არ შეუსრულებია და არც შეასრულებს. ამ დავალებებზე ლაპარაკი ეხლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ შევეხებით მხოლოდ ერთ დავალებას, რომლისაც შესრულებასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენის საეკლესიო ცხოვრების სასურველად მოწესრიგების საქმეში. ჩვენ ვგულისხმობთ სასულიერო ორგანოს ქართულ ენაზე გამოცემის და წარმოების მინდობილებას. მას შემდეგ, რაც ვოსტროგოვის ორგანო „დუხ. ვესტნიკი" დახურა სამღვდელოების კრებამ, ეს უკანასკნელი ყოველ „სიეზდზე" თავისუფალ ორგანოს შექმნაზე ბჭობდა და ამ საქმეს ანდობდა „სიტყვის" ყოფილ რედაქტორს. ეს უკანასკნელიც ღებულობდა ასეთ მინდობილებას, მაგრამ სასულიერო ორგანო ჯერაც არ მოეპოვება აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოებას, ხოლო ყოველივე ცდა ამ სამღვდელოე ისა დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებასთან გაერთიანებისა, თუ გინდ ერთ ქართულ სასულიერო ორგანოს გამოცემის ნიადაგზე, არ იქნა და არ მოხერხდა. ამ ნიადაგზე გაერთიანება მით უფრო ადვილად მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო, რომ დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებამ უკვე გაიჩინა საეპარქიო მთავრობისაგან დამოუკიდებელი სასულიერო ყოველ-კვირეული ჟურნალი „შინაური საქმეები". „სიტყვის" ყოფილი რედაქტორი-კი აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელ საეპარქიო კრებაზე (დეკემბერი 1908 წ.) დასთანხმდა ეკისრნა ოფიციალურ „საეპარქიო ორგანოს" რედაქტორობა. ჟურნალიც დაუდგინეს, წარუდგინეს კიდეც ვისთანაც ჯერ-იყო მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, შესაძლებლად არა სცნეს მისი გარედაქტორობა. სასულიერო მთავრობას განუზრახავს აღადგინოს ისევ ის ნეტარხსენებული ვოსტორგოვისეული „დუხ. ვესტნიკი", რომელიც ამ დროით ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის რედაქტორობით უნდა გამოვიდეს...

განმარტება, ვგონებ, მეტია. ცხადია. მხოლოდ ზეგარდმო სასწაულს თუ შეუძლიან საბოლოოდ გამოაფხიზლოს და სიცოცხლის გზაზე დააყენოს ქართველი სამღვდელოება!

**გადამთიელი.**

* *
*

ბინდმა დაჰბერა ბედის ვარსკვლავი
ქარი სისინებს, წვიმას ცვრებად
სცრის;
კვნესა მომესმის ჩემი გულისა,
სულსა საბრალოს მწარედ დასტირის,..
შავმა თვალებმა უკანასკნელად
სხივი მომფინეს და უცბად გაჰქრნენ;
ჩაჰქრა იმედი, აღარას ველი,
მწარე სევდები კვლავ მკვდრეთით
აღდგნენ.
გაწყდა რაღაცა... სული დაბნელდა...
გულის სიღრმიდან მესმის გოდება;
ვისას მივანდო, ან ვინ მიმინდობს,
ბედნიერება სულს ეთხოვება!..

* *
*

ერთად ვისხედით ბაღის ბოლოში,
ბუჩქში ბულბული ტკბილად ჰკვნესოდა;
სატრფოს კოცნასთან შეთანხმებული
წყაროს ჩუხჩუხი ნელა მესმოდა.
მაღლით კი მთვარე ცივად გვიმზერდა,
ის იყო მხოლოდ ჩვენი მოწამე;
ტრფობა-ალერსსა ყურსა უგდებდა,
ჩვენთან ათია მან წყნარი ღამე!
აგერ ის წყარო, აგერ ის მწვანე,
მკრთალად შუქს მაფრქვევს იგივე
მთვარე,
მაგრამ კი სატრფო აღარსადა სჩანს,
ჩემს სატანჯველად რა შევიყვარე?!

* *
*

კვლავ მარტოკა ვარ დაღონებული,
მეც მყვანდა სატრფო და აღარა
მყავს;
სხვა მხრით დაჰბერა სასტიკა ქარმა;
წინად თბილოდა და დღესა ჰყინავს!
ლამპარი ჩაჰქრა გზისა მნათობი,
ტოტზე ჩამოხმა მწვანე ფოთოლი;
ღამის წყვდიადში მარტო დავდივარ
უმეგობროდ და სულით ობოლი!

*
* *

სადღაც, როდესაც ჩემი ცხოვრება
მშვიდად მიჰქროდა, მიმდინარებდა;
რას ვიფიქრებდი, ასული ტურფა
გულით მხურვალით შემიყვარებდა!
დილით მიკრეფდა ფერად ყვავილებს
და საღამოთი მიმღერდა ჰანგებს;
მეფიცებოდა: „შენი ვარ მარად!"
თან მიკოცნიდა მხურვალედ ბაგეს!..
იგი შეიქმნა ჩემი ღვთაება,
მეც დავუმონე გრძნობა და სული;
მაგრამ მოვსტყუვდი, დამკოდა, გაჰქრა...
სისხლის ცრემლს აფრქვევს ღრმა
მკერდის წყლული!

*
* *

სიზმრადა ვნახე სატრფო გულისა
ყვავილებისა გადმომცა კონა;
ტანსა ემოსა სამგლოვიარო,
მომიახლოვდა, გულს დამეკონა.
ხანმოკლე იყო იგი ჩვენება,
გამომეღვიძა და ავქვითინდი;
ახ, რისთვის გაჰქრა სიზმარი მალე,
მტანჯველო ჩემო, საით გაჰფრინდი!

*
* *

დამეხსენ, ტურფავ, სულს ნუ
მიშფოთებ!...
სასომიხდილსა მატკბობს სიზმარი:
რისთვის შთამაგდე სოფლის უხსკრულში,
რისთვის დამიხშე სამოთხის კარი?
მე შენ მოგეცდე ძვირფასს მეგობარს
და აღმაფრინე ცას სიხარულით;
იქ ჩემს ოცნებას ფრთა შეუკვეცე,
დაბლა დავეშვი გატეხილ გულით.
რად ანგრევ ძეგლსა შენთვის აგებს,
მისი ნატეხი ხომ შენც გიმსხვერპლებს;
შემდეგ ინანებ, გვიან იქმნება,
ამოდ დაჰღვრი მდუღარე ცრემლებს!..

**ა. შანშიაშვილი**

# მოწერილი ამბები

**რაჭა.** რაჭაში საქარავნო გზა მხოლოდ ორია—ერთი საფოსტო გზატკეცილი, რომელიც ქუთაისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადადის და მეორე ნაქერალის გზა. დიდად საჭიროა რაჭველებისთვის ნაქერალის გზა. გაზაფხულდება თუ არა, გაბმულია რაჭველი ხალხი ტყიბულისკენ მიმავალი: იქიდან ეზიდება რაჭველი მარილს, სიმინდს და სხვას. შარშან მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამ გზას და დაიწყეს ტყიბულიდან მისი შეკეთება. შეაკეთეს სოფ. ხოტევამდე. ამას წინად ქვემო რაჭის საზოგადოებებმა განაჩენი დაადგინეს და სთხოვეს უმაღლეს მთავრობას ნაქერალის გზის შეკეთება. ხმა დადის, ვითომ ფოსტაც უნდა იაროს ამ მიწაზედაო. ფოსტას ვინ ჩივის, ოღონდ ისე შეაკეთონ, რომ ურმით შეეძლებოდეს სიარული.

გარედ მავალი რაჭველი ზოგი გაჭრობს, ზოგი მზარეულობს და ზოგიც ხელზე მოსამსახურეობს. რაჭველი უმეტესად გაზაფხულზე მოდის სახლში ბარგი-ბარხანით. ასეთ კაცზე აქ ამბობენ—„ნაქართლი კაცი" მოგვივიდაო. რაჭველმა მთელი 1 აფხული სახლში უნდა გაატაროს; იგი უკვე შეჩვეულია წიგნისა და გაზეთების კითხვას, მაგრამ რაჭაში წინად ზაფხულობით გაზეთს ვერ იშოვიდით. ამას ყურადღება მიაქცია ის. კვიცარიძემ, მან ისე მოაწყო საქმე, რომ ყოველ დღე შეიძლება ეხლა რაჭაში ახალ გაზეთების მიღება. კვიცარიძემ გაიჩინა სოფლებში აგენტები, მათ უგზავნის ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს სოფელში გასავრცელებლად. რაჭა-ლეჩხუმში ჟურნალ-გაზეთები მოაქვს ამხანაგობის დილიჟანს, რომელიც ყოველ დღე მოდის ქუთაისიდან. მხოლოდ არ შეგვიძლიან არ უსაყვედუროთ ზოგიერთ ფოსტის მმართველ მწერალს. ხშირად გაზეთები მთელი დღისა 15—20 ცალი იკარგება და ხშირად გაზეთებს ორი სამი ცალი აკლია ხოლმე. ყოველ დღე ორი სამი შაური ზარალი საგრძნობელია აგენტისათვის.

**რაჭველი შურდული.**

—

**ბათუმი.** თუმცა შავი ზღვის ნაპირას ვართ, მაგრამ მაინც მთელმა გაზაფხულმა გვალვით გაიარა. სისველეს ნაჩვევი აჭარის ნიადაგი მეტად შეაწუხა უწვიმრობამ, მხოლოდ მაისის უკანასკნელ რიცხვებში დაიწყო წვიმები და აგერ მეორე კვირაა, რაც გადაუღებლივ სწვიმს. თიბათვის ორს, დილით სამხრეთ დასავლეთიდან ძრიელმა ქარმა დაჰქროლა და გასტანა სულ 5—6 წამი. ამ მოკლე ხანში ბევრი ზიანი მიაყენა ხალხს.

სახლების სახურავები აანგრია, ტელეფონ-ტელეგრაფის მავთულები დაწყვიტა, ბევრი ხე ძირიანად ამოჰგლიჯა და სხვა. ზღვის ნაპირზე მდგომი ნავები მოიტაცა. ზოგი ქობულეთს და ზოგი ფოთს გარეკა. ორი თუ სამი მენავე, როგორც მითხრეს, დაიხრჩო.

რა თქმა უნდა, იმ ქარმა ზღვაზედაც იქონია გავლენა. მეორე დღეს საშინლად აღელდა შავი ზღვა. სამხედრო კლუბს და ციხეს კედლები დაუნგრია. ვაჟთა გიმნაზიის მიდამო წალეკა და სხვა. გემი „დიდი მთ. გიორგი", რომელიც ამ დღეს მოდიოდა ოდესიდან ბათუმში, მარტო ნოვოროსიისკსა და სოხუმში შესულიყო. ამიტომ სხვა ადგილებში გადასასვლელი მგზავრები ყველანი ბათუმში მოიყვანა, მეტად დატანჯულები...

5 თიბათვეს, როცა რუსთა საზოგადოების გემი „ბათუმი" დაუახლოვდა ნაპირს, ვიღაც კაცი გადავარდა ზღვაში. ეს შემჩნიეს მეზღვაურებმა და გემი შეაჩერეს, ნავი ჩამოუშვეს და 25 წამის შემდეგ ამოიყვანეს ცოცხლად მოშხვრილი კაცი. აღმოჩნდა, რომ იმ კაცს ბათუმში ნაპირზე მაძიებელი პოლიცია უცდიდა დასაჭერად. ეს კაცი დაიჭირეს. ვინაობა ვერ გავიგე. ფოთიდან კი წამოსულიყო.

**ტ. ო—ძე.**

# ოსმალეთი

**გერმანია-ოსმალეთის, ავსტრია [illegible]**

სტამბოლიდან [illegible] ოსმალეთმა [illegible] თან სამხედრო კავშირი შეკრულა.

**არეულობა ალბანიაში.**

რუსულ გაზეთებს ატყობინებენ სტამბოლიდან: ალბანიის მდგომარეობა თან და თან რთულდება. მოელიან, რომ ალბანელები ამ დღეებში დამოუკიდებელ ქვეყანად გამოაცხადებენ ალბანიასო.

**სამხედრო რეფორმა.**

გაზეთებში, როგორც ვიცით, ცნობა იყო დაბეჭდილი, ვითომ ახალ კანონის ძალით ოსმალეთის ჯარში ქრისტიანები მხოლოდ 25 პროცენტს უნდა შეადგენდნენო. ამის თაობაზე, მარშალ მახმუდ-შევკეთ-ფაშას უთქვამს „ფრ. პრესე"-ს კორესპონდენტისთვის: „ოსმალეთის ჯარის ხელმძღვანელი წრეები ბეჯითად თხოულობენ, რომ საყოველთაო სამხედრო ბეგარა დაწესებულ იქნას სრულად და რომ არა მუსულმანთა სამხედრო სამსახურში მიღება არაფრით არ იყოს შეზღუდულიო. ხოლო რაც შეეხება პატრიარქების მოთხოვნას, რომ ქრისტიანებისაგან ცალკე ბატალიონები შესდგეს, ეს ყოვლად შეუწყნარებელი აზრიაო.

კანონ-პროექტი საყოველთაო სამხედრო სამსახურის შესახებ უკვე შეიმუშავა მთავრობამ და 1 ივნისს წარადგინა დეპუტატთა პალატაში. კანონპროექტის ძალით ოსმალეთში დაწესებულ იქნება საყოველთაო სამხედრო ბეგარა და ჯარში იქნებიან გაყვანილნი ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების ახალგაზდები. აქამდე ოსმალეთში სამხედრო სამსახურში გაჰყავდათ მხოლოდ მუსულმანები, გარდა სტამბოლის, სკუტარის, მექის და მედინის მუსულმან მცხოვრებთა. სხვა სარწმუნოების ერები კი იხდიდნენ სამხედრო გადასახადს $4\frac{1}{2}$ ფრანკს კაცის თავზე, 15 წლიდან დაწყებული სიკვდილამდე. როგორ მოაწყობენ საბოლოოდ ქრისტიანებისთვის სამხედრო ბეგრის გადახდას, ეს ჯერ კარგად არ იციან ეს-კია რომ სტამბოლის მეცხოვრენი ჯარში ეხლავე შეუდგნენ ქრისტიან თავისუფალ მეომრების მიღებას.

ამ ახალ კანონპროექტს, სხვათა შორის, ის დიდი მნიშვნელობა ექნება, რომ მის წყალობით ოსმალეთის ჯარს მოემატება ჯარის-კაცთა ეხლანდელ რიცხვის 40 პროცენტამდე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წინანდელ დროში მუსულმანებიც რიგზე არ იხდიდნენ ამ ბეგარას, რადგან ჯარში გასაყვან ყმაწვილკაცთა სიები არ არსებობდა, ხოლო ქურთები რუსეთ-სპარსეთის საზღვარზე, ჰეჯასისა, იემენისა და ტრიპოლის მცხოვრებნი თავიანთ თავს სულაც არ სთვლიდნენ მოვალედ სამხედრო ბეგარა გადაეხადათ. რომ სამხედრო ბეგარა ნამდვილად საყოველთაო იყოს, მთავრობას დასჭირდება თავდაპირველად სწორე სიების შედგენა.

ახალი კანონ-პროექტი შესდგება 17 მუხლისგან:

1. ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მოვალეა სამხედრო ბეგარა გადაიხადოს. სულთანი არის უზენაესი წინამძღოლი იმპერიის მთელის ჯარისა და ფლოტისა.

2. სამსახური ჯარში გაგრძელდება 25 წლიწადს: 3 წლიწადი ნამდვილ სამსახურში, ხოლო დანარჩენი 22 წლიწადი სხვა-და-სხვა ხარისხის სათადარიგო ჯარში.

4. სამსახური ფლოტში გაგრძელდება 20 წლიწადს: 5 წლიწადი ნამდვილ სამსახურში, ხოლო დანარჩენი 15 წლიწადი სხვა და სხვა ხარისხის სათადარიგო ჯარში.

9. ამ მუხლში ჩამოთვლილია ყველანი, ვინც კი განთავისუფლებულნი არიან სამხედრო სამსახურისგან. სხვათა შორის განთავისუფლებულია სამღვდელოება და მონოზნები ყველა სარწმუნოებისა

17. სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებული მუსულმანები 6 წლით განთავისუფლებულნი იქნებიან სამხედრო ბეგრისგან.

აი ესაა უმთავრესი მუხლები ამ ახალ კანონ-პროექტისა.

**ქალთა თანასწორობა.**

ამ დღეებში დეპუტატებმა წინადადება შეიტანეს ოსმალეთის პარლამენტში, რომ ქალებს მიენიჭოს საარჩევნო უფლებაო, რომ ისინიც მონაწილეობას იღებდნენ საპარლამენტო არჩევნებშიო, მაგრამ პარლამენტის უმეტესობამ უარჰყო ეს წინადადება.

**სომხების და ბერძნების მუქარა.**

ვენურ გაზეთებს ატყობინებენ სტამბოლიდან: სომხები დაემუქრნენ ოსმალეთის მთავრობას, თუ ამას წინად დაკეტილ სამ სომხურს გაზეთს ისევ არ მისცემთ გამოსვლის ნებას, ჩვენს ეკლესიებს დავკეტავთო.

ბერძნებიც იმუქრებიან, თუ პალატის თავმჯდომარე ახმედ-რიზა ამას იქითაც შეზღუდავს კამათის თავისუფლებას პალატაში,—უთუოდ დავკეტავთ ჩვენს ეკლესიებს და წირვა-ლოცვას გავაუქმებთო.

**მცირე აზიის დამშვიდება.**

იმავ გაზეთებს ატყობინებენ: ამჟამად მცირე აზიაში თითქმის ყველგან აღადგინეს წესიერება და მშვიდობიანობა დაამყარეს. ადგილობრივი ქრისტიანები ძლიერ ემადლიერებიან ახალ სულთანს, რომლის პროკლამაციამაც დაამშვიდა ხალხიო. ქრისტიანები დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი ამოწყვეტისგან დაიხსნა ახალგაზდა ოსმალთა გამარჯვებამ. ქრისტიანების აზრით, მცირე აზიის სხვა ადგილებში იმიტომ არ მოხდა ხოცვა-ჟლეტა, რომ აბდულ-ჰამიდის აგენტებმა ვერ მოასწრეს ყველგან მისვლა, ისე როგორც ადანაში. თუმცა ხალხი დამშვიდებულია, მაგრამ შური და მტრობა სხვა და სხვა ეროვნებას შორის მაინც არ მოისპო და კორესპონდენტის აზრით, შესაძლებელია ახალი შფოთი და აურზაური.

არზრუმიდან ატყობინებენ ფრანგულ გაზ. „ტან"-ს: მეოთხე კორპუსის უფროსი იბრაჰიმ-ფაშა შემოვიდა არზრუმში 7 ბატალიონით, 2 ესკადრონით და ტყვიის-მტყორცნელების ერთი ბატარიით. არზრუმის მეციხოვნე ჯარი, რომელიც კონტრ-რევოლიუციის დროს აუჯანყდა ახალგაზდა ოსმალებს, წაიყვანეს ციხეში და იქ იარაღი აჰყარეს. იბრაჰიმ-ფაშამ აჯანყების მეთაურიბი დაატუსაღებინა, ხოლო უმთავრესს იუსუფ-ფაშას სამხედრო სასამართლომ ჩინები აჰყარა.

# სპარსეთის ამბები

**რუსის ჯარი დაბრუნდება თავრიზიდან.**

„ბაქუ" იუწყება: რუსის რაზმს გამოიყვანენ თავრიზიდან იმის შემდეგ, როცა იქ მოვა ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორად ახლად დანიშნული ალდ-დულა 350 ყაზახით.

**პროტესტი რუსის ჯარის წინააღმდეგ.**

„რუს. სლოვო"-ს ატყობინებენ თეირანიდან: სპარსეთის ახალ სამინისტროს ბევრი დეპეშა მოუვიდა მეშედიდან, ქერმანშაჰიდან, ისპაჰანიდან და სხვა ქალაქებიდან. ყველა დეპეშაში პროტესტია გამოთქმული რუსის ჯარის თავრიზში ყოფნის წინააღმდეგ. ამის თაობაზე სამინისტრომ ტელეგრაფით გაძლიერებული მოლაპარაკება გამართა პროვინციებთან.

**თეირანზე გალაშქრება.**

ბახტიარები განაგრძობენ თეირანზე გალაშქრებას. ისინი ორ რაზმად მიდიან, გზაში კაზვინელ რევოლიუციონერებს შეუერთდებიან და მათთან ერთად მიიტანენ იერიშს თეირანზე.

კაზვინელმა რევოლიუციონერებმაც სეპეხდარის მეთაურობით გაილაშქრეს თეირანზე. სპარსელი სომხები აღელვებულნი არიან. შაჰი აძლიერებს თავის რეზიდენციის სულთან-აბადის დამცველ რაზმს (კ.).

**რუს-ყაზახების წასვლა არდებილში.**

ღაზის ყაზახებთან ერთად ასტარიდან ქალ. არდებილში წავიდა კიდევ 11 ყაზახი საკონსულოს დამცველ რაზმიდან ორის ტყვიის-მტყორცნელით.

# კრიტოსის საქმე

**საბერძნეთის პროტესტი.**

ოსმალეთის მთავრობის გაზ. „იტიხადი" იუწყება: საბერძნეთის მთავრობამ იჩივლა დიდ სახელმწიფოებთან, რომ ოსმალეთი საბერძნეთის წინააღმდეგ საომრად ემზადებაო. ამ ნოტის პირი ოსმალეთის მთავრობასაც გაუგზავნეს.

**ოსმალეთის პასუხი.**

საბერძნეთის ნოტის პასუხად, ოსმალეთის მთავრობამ მისწერა სახელმწიფოებს: „საბერძნეთმა პირველმა დაიწყო საომარი მზადება; საბერძნეთის ჯარი უკვე მოგროვდა ქალ. ლარისასთან ოსმალეთის საზღვარზე, კუნძულ კრიტოსის დროებითმა მთავრობამ საზღვარ გარედ ხუთი სამთო ბატარეია შეუკვეთა საბერძნეთის სამეფოს ხარჯით, ამას წინად კრიტოსზე გემით მიტანეს 5 ათასი თოფი მანლიხერის სისტემისა და თითონ კუნძული კრიტოსიც გაჩქარებით ემსადება საომრადაო.

**ოსმალები ომის გუნებაზე არიან.**

ვენულ გაზ. „ნ. ფრ. პრესე" იუწყება: ოსმალეთის უმაღლესი სამხედრო წრეები გაჯავრებულნი არიან გარეშე საქმეთა მინისტრზე რიფაატ-ფაშაზე, რომელიც მათის აზრით, მეტად მძიმედ იქცევა. რიფაატ-ფაშა რომ მარჯვედ მოქცეულიყო, სახელმწიფოები დიდი ხანია დასთანხმდებოდნენ, რომ ოსმალეთს ესკადრა გაეგზავნა კრიტოსისკენ, რაც განამტკიცებდა ოსმალეთის უზენაეს უფლებას კრიტოსზეო.

როგორც ამბობენ, მინისტრთა საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, დაბეჭდილ კონვერტით ბძანება გაეგზავნოს ინგლისელ ადმირალ გემბეს, რომელიც თავის ესკადრით მარმარილოს ზღვაში დგას,—რომ მან კრიტოსისკენ წაიყვანოს ესკადრა და უფროსობა გადასცეს ოსმალელ ადმირალს, რომელიც დემონსტრაციას მოახდენს და ჯარს გადაიყვანს კუნძულზეო.

საბერძნეთის ბოლონდელმა ნოტამ, როგორც ეტყობა, უფრო გააფიცხა ოსმალეთის მთავრობა. ოსმალელი აფიცრები ძლიერ აღელვებულნი არიან. ისინი ამბობენ: „ათინა სილონიკის ჯარისთვის სტამბოლზე შორს არ არისო". მარშალმა მახმუდ-შევკეთ-ფაშამ გამოუცხადა კორესპონდენტებს, თუ მთავრობა და სულთანი გადასწყვეტენ ომის დაწყებას—მთელი ოსმალეთი, როგორც ერთი კაცი, დაუჭერს მათ მხარსო.

სალონიკის მესამე კორპუსის უფროსმა უბრძანა დივიზიებისა და პოლკების უფროსებს, მოემზადენით ჯარში გამოწვეულ სათადარიგო ჯარის კაცების მისაღებადო.

ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა, ჯარი ჩააყენოს კუნძულ კრიტოსზე, როცა სახელმწიფოები იქიდან თავიანთ ჯარს გაიყვანენო. მთავრობა ისევ ომს ამჯობინებს შინაურ არეულობას, რომელიც უეჭველად დაიწყება, თუ მთავრობა გაბედულ და ძლიერ ღონისძიებას არ მიიღებს ოსმალეთის სახელმწიფოს ღირსების დასაცველადო.

**ბოიკოტი.**

სტამბოლშიაც გამოუცხადეს ბოიკოტი ბერძნების საქონელს.

**ინგლისის პროტესტი.**

როგორც უკვე ვიცით, ინგლისმა შემდეგი წინადადება მისცა სახელმწიფოებს კრიტოსის საქმის მოსაწეს რიგებლად: კუნძული ნომინალურად დარჩება ოსმალეთის სულთნის უზენაესს ხელმწიფების ქვეშ; საბერძნეთის მეფე ჰნიშნავს კუნძულ კრიტოსის გენერალ-გუბერნატორს; უცხოეთის ჯარის გაყვანილ იქნება კრიტოსიდან. ორივე მფარველი სახელმწიფო რიგ-რიგად დააყენებს კრიტოსის ახლო სამხედრო გემს ოსმალეთის უზენაესს უფლების დასაცველად.

„ნოვ. ვრემია"-ს სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ოსმალეთის მთავრობამ არ შეიწყნარა ინგლისის წინადადებაო.

როგორც ამბობენ, ეს წინადადება არც კრიტოსელებს მოსვლიათ ჭკუაში. მათ უნდათ, რომ კუნძულის საქმე ეხლავე ერთხელ და სამუდამოდ გადასწყდეს.

# რუსეთი

◆ **დაპატიმრება.** „კასპი" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: «პროკურორის მოთხოვნით ხიდ. მახლენკაში დააპატიმრეს იუსკევიჩ-კრასკოვსკი. იუსკევიჩ-კრასკოვსკის ციხეში წაიყვანეს. მის საქმეს 14 ივლისს გაარჩევენ». იუშკევიჩ-კრასკოვსკის ბერგემენტის მოკვლის მოწყობა ბრალდება.

◆ **გენერალი ტოლმაჩევი.** ამ რამდენიმე ხნის წინად ოდესის გრადონაჩალნიკ ტოლმაჩევს ნება მისცეს დასასვენებლად ორი თვით სახღვარ-გარედ წასულიყო. „რეჩის" სიტყვით ტოლმაჩევი აღარ ისარგებლებს ამ ნებართვით და ოდესაში დარჩება. ტოლმაჩევს უთქვამს, რომ მე პირადად მსურს ხელმძღვანელობა გავუწიო სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატის არჩევნებსო. კარგი ნიშანი ვერ არის!

◆ **ფულის მიცემა** როგორც ვიცით განსვენებული პერგამენტი 100,000 მანეთში იყო დაზღვეული. გაზეთების სიტყვით დამზღვევ საზოგადოება «იაკორს» დაუდგენია, დაუყონებლივ მისცეს ეს ფული პერგამენტის ქვრივს.

◆ **სინოდის დადგენილება.** სინოდს ამ დღეებში თათბირი ჰქონდა იმას შესახებ, თუ როგორ იბრძოლოს ლოთობას სინოდმა, სხვათა შორის, დაუდგენია მისწეროს სემინარიების მთავრობებს, რომ ეს უკანასკნელნი საჩქაროდ შეუდგნენ მოსწავლეების მზადებას ლოთობასთან საბრძოლველად.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 3, ეკატერინოსლავში 2, ვარშავაში 1, ოდესაში 2, პეტერბურგში 1, რიგაში 1 კაცს; სიკვდილით დახაჯეს: ხარკოვში 1, ორიოლში 1, რიგაში 2, პეტერბურგში 1, ვარშავაში 1, ოდესაში 2 კაცი.

◆ **ახალი საეპისკოპოსო კათედრა.** სინოდს დაუდგენია სამისიონერო საქმე ცალკე დაწესებულებად გამოჰყოს. ამ დაწესებულების სათავეში იდგება განსაკუთრებული ეპისკოპოსი, რომელიც მარტო სინოდისგან იქნება დამოკიდებული.

◆ **საჩივარი რეინბოტზე.** „რეჩის" სიტყვით მოსკოველ მეტელე კოზლოვს „ცნობილ" გენერალ რეინბოტზე საჩივარი აღუძრავს. საქმე ამნაირად ყოფილა: 1907 წელს ვიდაც უცნობებს ექსპროპრიაცია მოუხდენიათ: პოლიციას დაუპატიმრებია მეეტლეები და სხვათა შორის კოზლოვს მთელ $1^1/_2$ თვე ეკლია გრადონაჩალნიკთან, მაგრამ გრადონაჩალნიკს არც ცხენები არც ეტლი და არც მეეტლე არ გაუნთავისუფლებია. ამ დროს განმავლობაში კოზლოვის ცხენებით და ეტლით გრადონაჩალნიკის კანცელარიის მოხელეები სარგებლობდნენ. $1^1/_2$ თვის შემდეგ როგორც ყოფილა კოზლოვისთვის დაუბრუნებიათ მისი ეტლი, მაგრამ ცხენები აღარ გამოუგზავნან, ალბად მოხელეები არა ზოგავდნენ სხვის ქონებას. ამასთან კოზლოვისთვის ცხენების შესახანი ფული გადაუხდევინებიათ. კოზლოვი ზარალის ანაზღაურებას თხოულობს.

◆ **სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის დადგენილება.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციიდან სამი წევრი გამოვიდა—კუზნეცოვი, გაიდაროვი და ჩილიკინი. ფრაქციიდან გასვლას დეპუტატები იმითი საბუთობდნენ, რომ არ შეეძლიათ ჩვენი ამომრჩეველ—გლეხების ინტერესების დაცვა, ვინაიდან თუ პარტიული დისციპლინა არ დავარღვიეთო. სხვათა შორის დეპუტატმა კუზმამ ერთ გაზეთში წერილი დასტამბა, სადაც სწერდა; «მე ამომრჩევს გლეხებმა და ამასთან დამავალეს ღიტოველ გლეხკაცების ინტერესების დაცვა და თან დამავალეს იმოქმედე, აქაურ პირობების მიხედვითო, მაგრამ მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ სანამ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ვარ, არ შემიძლიან ჩემი ამომრჩევლების ინტერესების დაცვა, რადგან ეს პარტიულ დისციპლინის დარღვევას გამოიწვევდა. (ესეთივე აზრი გამოსთქვა კუზმამ თავის განცხადებაში, რომელიც მან ფრაქციაში შეიტანა). ამას გარდა თავის წერილში კუზმა სწერდა, რომ არ ვეთანხმები სოციალ-დემოკრატების ფრაქციის ტაქტიკას. ისინი წინდაწინვე განზრახვით წინააღმდეგნი არიან მთავრობის ყოველნაირ კანონ-პროექტებისაო. თითქმის ასეთივე აზრისანი იყვნენ ჩილიკინი და გაიდაროვი. ამის შესახებ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას სხდომა ჰქონია. ფრაქციას რეზოლიუცია გამოუტანია. რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ფრაქცია თავის წევრებს ნებას აძლევდა ადგილობრივ საკითხებში გამოსულიყვნენ, მხოლოდ ეს უკანასკნელნი სოციალ-დემოკრატიის ძირითად პრინციპების წინააღმდეგ არ უნდა წასულიყვნენო. ამასთან რეზოლიუციაში ნათქვამია, გაიდაროვი, ჩილიკინი და კუზმა იმიტომ გავიდნენ ფრაქციიდან, რომ მათ და ფრაქციის შორის პრინციპიალური უთანხმოება ჩამოვარდაო. დასასრულ ფრაქცია სწერს, რომ სოციალ-დემოკრატიას ბაირაღის ქვეშ ისეთი პირები გაიან, რომლებიც ძალიან ნაკლებ სიმტკიცეს იჩენენ პარტიულ საკითხებში და ზოგიერთ შემთხვევებში შეგნებულად ვერ უყურებენ პარტიის პრინციპებს და ტაქტიკას.

◆ **სატუსაღოებში.** სატუსაღოების მთავარ განყოფილების სტატისტიკური ცნობით რუსეთის სატუსაღოებში (გარდა ფინლიანდიისა) 1909 წლის პირველ იანვრისთვის ყოფილა 170,865 ტუსაღი. თებერვალში—181,137, მარტში—181,438, აპრილში—181,241 ტუსაღი.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი მისცეთ ამ ჩემს შენიშვნას თქვენს პატივცემულ გაზეთში.

„დროების" მე-124 ნომერში, ქუთაისის ბანკის რწმუნებულთა კრების ანგარიშში, თქვენი კორესპონდენტი, სხვათა შორის, სწერს:

„თავ. დ. ნიჟარაძემ განაცხადა ცხარედ შემდეგი: „აქ ბ-ნი ბაქრაძე ჩვენს და ზნეობას (!) გვასწავლის, როცა მას ჯერაც არ გაუწმენდია ანგარიში საურთიერთო ნდობის საზოგადოებასთან, თვით მისი ზნეობის (!!) სიწმინდე ეჭვს იწვევს და მე ჩემს თავს ნებას ვაძლევ განვაცხადო, რომ იმის სიტყვებს არ მოვისმენ".

კრების თავმჯდომარემ არავითარი შენიშვნა არ მისცა ორატორს ამ სიტყვებისთვის და მეორე დღესაც ხელი შემიშალა ნათელი მომეფინა წინა დღეს თავ. ნიჟარაძის მიერ ჩემ წინააღმდეგ ბუნდოვანად წამოყენებულ ბრალდებისთვის. ამიტომ და უფრო კიდევ იმ მოსაზრებით, რომ ქუთაისის საზოგადოებაში არავითარი ეჭვი არ დარჩეს ჩემის ანგარიშების შესახებ საურთიერთო კრედიტის ბანკთან, წარმოგიდგენთ თვით იმ ბანკის მოწმობას, ჩემ მიერ მიღებულს 4 ივნისს 1909 წ., რომელშიაც აი რა სწერია*).

„ეძლევა ესე მოწმობა აზნაურს კონსტანტინე დიმიტრის ძე ბაქრაძეს იმაზე, რომ: 1) ბაქრაძე 1 იანვარს 1901 წ. მოვალედ ითვლებოდა ბანკის წინაშე 32.000 მანეთისა 576,000 ფუთის მარგანეცის საწინდარად. $^0_0$ % და ხარჯი ამა თანხისა აღირიცხა 39.000 მან. ანგარიშების გაწმენდის დროს აღმოჩნდა 632,000 ფუთი მარგანეცი და შემოვიდა ამ მარგანეციდან თავნისა და სარგებლის დასაფარავად 56,200 მან. (ე. ი. თავნს გარდა 24,200 მან. სარგებლად, რაც შეადგენს $6^1/_2$ წლიურად $11^1/_2$ %); 2) ბაქრაძეს ვექსილებში გახსნილი ჰქონდა კრედიტი 3000 მან, რომლის უფლებით ვექსილებით ჰქონდა გატანილი 2400 მან. და ეს ვალი ნაწილ ნაწილ შემოტანით დავიდა 838 მანეთამდე და 3) მის დას ანასტასიას ჰქონდა გახსნილი კრედიტი 6000 მან. ძმის თავმდებობით და მის მამულს (რომელიც, თამამად ვიტყვი, ღირს არა ნაკლებ 15 ათას მანეთისა) გირაობით; ამ კრედიტით გატანილი იყო 4800 მ., რომელიც ეხლა 450 მანეთის გარდა, სულ გაქახდილია".

ვფიქრობ, რომ ამ მოწმობის შემდეგ განმარტება აღარ არის საჭირო იმისა, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო თავ. ნიჟარაძის ჩემ წინააღმდეგ გამოლაშქრება ესოდენ ბლაგვის იარაღით. სხვას არას ვიტყვი! **ვ. ბაქრაძე.**

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩვენს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „დროების" ფურცლებზე.

ამ ოთხი წლის წინად სამარხ კასის წევრებმა ამოვირჩიეთ კასის საქმეების გამგეებად დეკანოზი ანტ. თოთიბაძე, ბ ნნი დ. ა. დავითაშვილი და სოსიკო მერკვილაძე. კრებაზევე დავავალეთ მათ ყოველ წლივ მოეწვიათ ხოლმე საზოგადო კრება და წარმოედგინათ როგორც თავიანთ მოქმედების ანგარიში, ისე კასის მდგომარეობის. აგერ ოთხი წელიწადი გადის და არ იქმნა, ვერ ვეღირსეთ ვერც საზოგადო კრების მოწვევას, ვერც შემოსავალ-გასავლის ანგარიშს. სამაგიეროდ, ხშირად მოგვდის ასეთი ბარათები—ესა და ეს გარდაიცვალა და ფული შემოიტანეთო. ჩვენც ვიხდით უოველთვის. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს: საჭიროა ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია საქმე.

ვთხოვთ კასის გამგეებს გვაცნობონ—არსებობს თუ არა კიდევ კასსა და თუ არსებობს, რატომ ან ანგარიშს არ გვაბარებენ ან არ გვაცნობენ საქმის მდგომარეობას. რატომ ასე ვიწროთ ესმით თავიანთი მოვალეობა. მარტო ბარათების გზავნა, როცა ფულია შემოსატანი, საკმაო არ არის. ვთხოულობთ პასუხს.

კასის წევრები: **ბესარიონ იოსების ძე მჭედლიშვილი, დავით სვიმონის ძე მხეიძე, სვიმონ ზ. მაჩხანელი, ალექსი ზურაბის ძე არეშიძე.**

*) ეს მოწმობა (N 1026), რომელზედაც ხელი აწერია ბანკის თავმჯდომარეს, გამგეობის წევრსა და ბუხჰალტერს, რედაქციას ხელთა აქვს. რედაქცია.

# მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და სატვირთ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).


ვაჟთა-ქალთა-ბავშვთა

პირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიან'სა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ჟ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—106)

**ექიმი** ე. ს. **ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბერიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა.
(წლ.—ნ.—72)

ბალი-რესტორანი

◀ ამხანაგობის ▶

„იშუანე"-სი

სახაზინო ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა სახაზინოდ თეატრთან. ბალში ყოველ დღე დილით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბალში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ-სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტებ" ფასები ზომიერია.
телефонъ N 216. (50—გაყ.—5)

უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და გასაჰყიდად დაურიგდათ წიგნ ს მაღაზიებს

**ვასილ ყიფიანის**

ორიგინალური ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად

სამეგრელოს მთავარი
ლ ე ვ ა ნ

**ფასი 40 კაპ.**

ტფილისს გარედ მცხოვრებთ, ვინც გაზეთ „დროების" კანტორიდან დაიბარებს წიგნს, გასაგზავნი ფული არ გადახდებათ. ფულის მაგიერ მარკებიც შეიძლება გამოიგზავნოს.

Высшая награда



Швейныя машины „Кайзеръ"

ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის
მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—ნ.—44)


სტამბა „ხელოსანი", დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აბლაძე.**